აღნიშნული პრობლემატიკის გადაჭრის გზებზე. ამასთან, განხილული იქნება საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის ის ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია და წარმოადგენს დანაშაულებრივ ქმედება – საბოტაჟს. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში წარმოდგენილი პრობლემატიკა მეცნიერულ ჭრილში დღემდე არ ყოფილა განხილული, იგი უფრო მეტი სიცხადით პრაქტიკაში თავს იჩენს და აღნიშნული ნაშრომიც კონკრეტული საკითხის ირგვლივ პრაქტიკოსის ხედვას წარმოადგენს.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, რომლის სრული ჩამონათვალი რეგლამენტირებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში, ყველა მათგანი ცალ-ცალკე წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას¹. ამასთან, თუ რომელი ქმედება უნდა ჩაითვალოს დანაშაულად, უპირველეს ყოვლისა, მის საკანონმდებლო რეგლამენტაციას ახდენს კანონმდებელი². სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედმა რედაქციამ გაითავისა გერმანულ სისხლის სამართალში გაბატონებული დანაშაულის სამსაფეხურიანი აგებულება³ და დღეისათვის დანაშაულის ცნება 3 ნიშნისგან შედგება: ქმედების შემადგენლობა, ანუ ქმედება რეგლამენტირებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კანონით, ქმედების მართლწინააღმდეგობა და ბრალი. დანაშაულის ცნების აღნიშნული ნიშნების თანაარსებობა, თავის მხრივ, წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველს⁴.

დანაშაულის ფაქტთან საქმე გვაქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეუბა ქმედების შემადგენლობის ყველა კომპონენტი, აღნიშნული შემადგენლობა აღწერილობითია⁵. თითოეული სისხლის სამართლის ნორმა გადმოგვცემს ქმედების შემადგენლობის აღწერას, ამავედროულად, გულისხმობს ქმედების შეფასებასაც, შესაბამისად, სისხლის სამართლის ნორმა აღწერილობითი და შეფასებითი მსჯელობების სინთეზს წარმოადგენს⁶. თავად სამართლის ნორმა ფაქტობრივი შემადგენლობით გაპირობებული ჯერარსული წინადადება არის⁷. ნიშანდობლივია, რომ ქმედების ნიშნები ზუსტად და არა მიახლოებით, სრული მოცულობით უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულებრივი ქმედების დისპოზიციას, აღნიშნული იგივეობის დადგენა ქმედების კვალიფიკაციის დასადგე-

ნად უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა⁸, ვინაიდან „დანაშაული და შემადგენლობა არსებითად ერთი და იგივეა“⁹. ამასთან, დანაშაულის კვალიფიკაცია არის ჩადენილი ქმედების და სისხლის სამართლის ნორმით გათვალისწინებული ნიშნების ზუსტი შესაბამისობის დადგენა და მისი იურიდიული დამაგრება¹⁰. დანაშაულის შემადგენლობის სწორად განსაზღვრა გამორიცხავს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში ნებისმიერ შეცდომას და მიკერძოებულობას, რადგან ჩადენილი ქმედება მხოლოდ კანონის შესაბამისად და მის ფარგლებში უნდა დაკვალიფიცირდეს დანაშაულად¹¹.

ქართული სისხლის სამართალი აღიარებს ქმედების სუბიექტური შერაცხვისა და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს¹². ბრალდებულის ქცევას აქვს ორი მხარე – სუბიექტური და ობიექტური: სუბიექტური მხარე განსაზღვრავს ბრალდებულის მიზნებსა და მოტივებს, ხოლო ობიექტური მხარე – მის ზემოქმედებას ობიექტურ გარესამყაროზე ნებისყოფის გარეგანი გამოვლინებით, რაც შეიძლება გამოიხატოს, როგორც მოქმედებაში, აგრეთვე – უმოქმედობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულებრივი ქმედება ობიექტური და სუბიექტური მხარეების ერთობლიობას წარმოადგენს¹³. პირისათვის ბრალის შერაცხვის დროს, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებები, რომ:

- ქმედების ობიექტური მხარის ცოდნასთან ერთად, აუცილებელია ქმედების მართლწინააღმდეგობის შეცნობა და;
- მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გადაწყვეტილება პირის თავისუფალი ნებიდან უნდა მომდინარეობდეს, ანუ პირი უნდა აცნობიერებდეს მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად

1 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ. 1999წ, მუხლი 7, ნაწ. 1.
 2 ნაჭყებია გ., „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“ თბ., 2002 წ., გვ. 7.
 3 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2010 წ., გვ. 61.
 4 გამყრელიძე თ., „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი“, პირველი წიგნი, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 2008 წ., გვ. 77.
 5 ნაჭყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ. 2010 წ., გვ. 126-127.
 6 ტყეშელიაძე გ., ღირებულების პრობლემა და სამართალი, „საბჭოთა სამართალი“ 1981 წ., #2.
 7 ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ. 2004 წ., გვ. 50.

8 ნაჭყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ. 2010 წ., გვ. 131; წულაია ზ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტ. #1, მე-2 გამოცემა, თბ. 2003 წ., გვ. 10; ლეკვიშვილი მ, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბ. 2006 წ., გვ. 18.
 9 ნაჭყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ. 2010 წ., გვ. 9.
 10 Кудрявцев В, Общая теория квалификации преступлений, М. 1972, с. 7-8.
 11 ნაჭყებია გ., „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“, თბ., 2002 წ., გვ. 64.
 12 ბრაჭველი ს, გოგელია თ, გელაშვილი თ, მელაძე გ, სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლები, თბ. 2021წ., გვ. 148.
 13 წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ., მოძღვრება დანაშაულზე, თბ. 1969წ., გვ. 168.

რა ზემოქმედება განხორციელდება ობიექტურ გარესამყაროზე¹⁴.

დანაშაულებრივი ქმედება – საბოტაჟის რეგლამენტაცია – პირველად საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა. მანამდე აღნიშნულ დანაშაულს ქართული კანონმდებლობა არ იცნობდა, თუმცა, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა დივერსიას და მავნებლობას, რომელთა ერთგვარი სინთეზი წარმოდგენილია დღეს მოქმედ სსკ-ის 318-ე მუხლში. აღნიშნული მუხლების დისპოზიციების სუბიექტურ მხარეს აქვს ერთი განსაკუთრებული დამახასიათებელი და სავალდებულო ნიშანი, კერძოდ „საბჭოთა სახელმწიფოს დასუსტების მიზანი“¹⁵, აღნიშნული მიზანი პრაქტიკულად შეუცვლელად იქნა გადმოტანილი საბოტაჟის მოქმედ დისპოზიციებში, ტექნიკური ცვლილებებით. კერძოდ, ცნება „საბჭოთა სახელმწიფო“ შეიცვალა „საქართველოთი“. შესაბამისად, საბოტაჟის მოქმედი დისპოზიციები ითვალისწინებს ისეთ სავალდებულო მიზანს, როგორც არის საქართველოს დასუსტება¹⁶. თუ რა იგულისხმება „საქართველოს დასუსტების“ ცნებაში, ამის განმარტებას ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იძლევა. უფრო მეტიც, აღნიშნული სიტყვათწყობა, მოქმედ სისხლის სამართალში, გვხვდება მხოლოდ ორჯერ და ისიც საბოტაჟის დისპოზიციებში. კანონმდებელმა ის უაპელაციოდ გადმოიტანა დივერსიისა და მავნებლობის შემადგენლობიდან და არ შეეცადა მოეხდინა მისი განმარტება, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია ქმედების კვალიფიკაციისათვის. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით პრობლემატურია პრაქტიკაში, ვინაიდან „ცნების უდიდესი მეცნიერული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ ის საგანთა არსს გამოხატავს. აზრი, რომელიც საგანთა არსს არ გამოხატავს, არ შეიძლება ცნებად იწოდებოდეს“¹⁷. აქვე გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ „ცნების განსაზღვრების ფორმალურ-ლოგიკური ძირითადი წესები ეხება გვარეობით-სახეობით დამოკიდებულებაში მყოფ

ცნებებს, რომელთაც აქვთ უახლოესი გვარი და სპეციფიკური ნიშანი. სწორედ ამ მიმართებათა დადგენა ითვლება ცნების განსაზღვრებად“¹⁸.

იმ პირობებში, როდესაც კანონმდებელმა არ მოგვცა სათანადო განმარტება, აღნიშნული საკითხი სცდება გამომძიებლისა და პროკურორის სპეციალურ ცოდნას, ვინაიდან კომპლექსურად უნდა შეფასდეს როგორც ქვეყნის ეკონომიკურ პარამეტრებზე ზემოქმედება, აგრეთვე: სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის ან მასობრივი მაუწყებლობის საშუალების, გზის, ნაგებობის, ტექნიკის, დოკუმენტის, დიდი რაოდენობით სტრატეგიული ნედლეულის, მასალის ან პროდუქციის, აგრეთვე მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დაწესებულების ან ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელი, საზოგადოებრივი უშიშროების ან წესრიგის დაცვისათვის განკუთვნილი ან სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტის დაზიანების, მწყობრიდან გამოყვანის ან განადგურების საკითხი. სტანდარტულ შემთხვევებში, როდესაც სისხლის სამართლის საქმეზე წამოჭრილი საკითხი საჭიროებს სპეციალურ ცოდნას, მხარეთა მიერ ინიშნება სათანადო ექსპერტიზა, მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხის დასადგენად საქმეზე ტარდება სასამართლო სამედიცინო, ნარკოტიკული საშუალების სახეობის და ოდენობის დასადგენად – ქიმიური, ხოლო ცეცხლსასროლი ან საბრძოლო მასალის დასადგენად – ბალისტიკური ექსპერტიზები. ასეთ შემთხვევებში ექსპერტიზის დასკვნა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა ქმედების კვალიფიკაციისთვის. იმ პირობებში, როდესაც არ გვაქვს კანონით განსაზღვრული, თუ რა ოდენობის ზიანმა, შეფერხებამ, დაზიანებამ თუ განადგურებამ შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს დასუსტება, საკმაოდ პრობლემატური ხდება პრაქტიკაში ისეთი მტკიცებულებების შეკრება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა საქართველოს დასუსტების მიზანს. როგორც აღვნიშნეთ, მიზანი სუბიექტური მხარის შემადგენელია და იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბრალდებული აღიარებს თავისი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მიზნად საქართველოს დასუსტებას, მიგვაჩნია, რომ აღნიშნულის დადასტურება სასამართლოში იქნება პრაქტიკულად შეუძლებელი, ვინაიდან „თითოეულ ადამიანს ახასიათებს ინდივიდუალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ცნობიერე-

14 Hart H.L.A., Punishment and Responsibility: Essays in the Philosophy of Law (2nd edn), Oxford University Press, 2008, pp.181-182.

15 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, 1960 წ., მუხ. 69-70.

16 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ. 1999 წ., მუხ. 318.

17 ქებურია დ., ცნების თეორიის საკითხები, თბ. 1967 წ., გვ. 196.

18 წერეთელი ს., დიალექტიკური ლოგიკა, თბ. 1965 წ., გვ. 387.

ბა, რომელიც განპირობებულია საზოგადოებრივი აზრით, პოლიტიკური, ფილოსოფიური, ეთიკური, რელიგიური, ესთეტიკური წარმოდგენებით და იდეებით¹⁹. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია საქართველოს დასუსტება სხვადასხვა ინდივიდში იწვევდეს განსხვავებულ ასოციაციებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულის, თუნდაც აღიარებითი ჩვენება, რომ მან ჩაიდინა საბოტაჟი, ვერ დაედება საფუძვლად სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენს, რადგან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად გვევლინება საქმეზე დადგენილი ქმედებების და ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის სინთეზი²⁰ და სისხლის სამართლის ნორმა, რაოდენ ნათლად არ უნდა მოხდეს კანონმდებლობაში მისი გაწერა, მაინც საჭიროებს სასამართლოს მხრიდან მის განმარტებას და საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობაში მოყვანას²¹.

სამწუხაროდ, არც საბოტაჟის განმარტება იძლევა რაიმე სახის მინიშნებას, თუ როგორ უნდა მოხდეს ქვეყნის დასუსტება. საბოტაჟი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს „რაიმე საქმის წინასწარგანზრახვით ჩაფუშვას, მასში მონაწილეობისაგან თავის არიდებით ან მისი არაკეთილსინდისიერი შესრულებით“²², თუმცა იურიდიულ ლიტერატურაში ვხვდებით სხვაგვარ განმარტებასაც, მაგალითად, საბოტაჟი განიშარტება, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლის ძირის გამოთხრა²³.

ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: რა მიზანი ამოძრავებდა პირს, რომელსაც ბრალი ედება საბოტაჟის ჩადენაში? შევეცდებით პასუხი ისევ დანაშაულის შემადგენლობაში ვეძიოთ. როგორც აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ამომწურავად არის მითითებული, თუ რა ქმედება ითვლება დანაშაულებრივად. ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისთვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭება ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს იკავებს სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში²⁴.

„დანაშაულის შემადგენლობა თავისებური უნიკალური ტერმინია, რომლის მსგავსი არც ერთმა მეცნიერებამ არ იცის“²⁵. სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილებაში შედის პირის დანაშაუდ ცნობა, რა დროსაც დგინდება ჩადენილი დანაშაულის იურიდიული ცნება. ქმედების საკანონმდებლო და სასამართლო კვალიფიკაცია სინქრონული უნდა იყოს, სასამართლომ ჩადენილ ქმედებას ისეთივე კვალიფიკაცია უნდა მისცეს, როგორი საკანონმდებლო კვალიფიკაციაც შეიმუშავა კანონმდებელმა²⁶.

დანაშაულის სუბიექტურ მხარეში იგულისხმება დანაშაულის ჩამდენი პირის დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, რომელიც მოტივის, მიზნის და ბრალის ერთიანობით ვლინდება²⁷, უფრო მეტიც, მიზანი გავლენას ახდენს ბრალის შინაარსზე და ხარისხზე და საბოლოო ჯამში სისხლისსამართლებრივ პასუხიმგებლობაზე²⁸.

დანაშაულებრივი ქმედება საბოტაჟის სავალდებულო ხასიათის მხარედ გვევლინება საქართველოს დასუსტების მიზანი. რაც იმ ფონზე, რომ საქართველოს დასუსტების ცნება კანონით არ არის განმარტებული, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის მართლმსაჯულების პროცესს, ქმედების საბოტაჟად დაკვალიფიცირების შემთხვევაში. თავის მხრივ, „მიზანი – ეს იდეალურად მოცემული მოქმედების შედეგია, რომელიც ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს“²⁹. შესაძლებელია კონკრეტულ პირს მართლაც ქონდეს საქართველოს დასუსტების მოთხოვნილება, მაგრამ საქმე ისაა, რომ საქართველოს დასუსტების ცნება არც მისთვის და არც საქმის მწარმოებლისთვის არ იქნება ცნობილი, თუ არ ჩავთვლით სუბიექტურ მოსაზრებებს. შესაბამისად, საქართველოს დასუსტების მიზანი, ამ ფონზე, ერთგვარ ჰიპოთეტურ მოცემულობადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამ

19 გოგიჩაიშვილი თ., ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი, თბ. 2006 წ., გვ. 19.
 20 ნაჭყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ. 2010 წ., გვ. 20.
 21 European Court of Human Rights, Case of Rohlena v. the Czech Republic, 27/01/2015, 59552/08.
 22 უცხო სიტყვათა ლექსიკონი, ელ. მის: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=35631>, ბოლო ნახვა: 05.04.2023წ.
 23 ნაჭყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ. 2010 წ., გვ. 167.
 24 დვალიძე ი., თუმანიშვილი გ., გვენეტაძე ნ., „კაზუ-

სის ამოხსნის მეთოდოლოგია სისხლის სამართალში“, თბ., 2015 წ., გვ. 97-98.
 25 Жеребкин В., Содержание понятий права: (Логико-юрид. анализ): Автореф. дис. на соиск. учен. степ. д-ра юрид. наук: (12.00.01), Харьков, 1980, с. 19.
 26 ნაჭყებია გ., „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“, თბ., 2002 წ., გვ. 13
 27 ნაჭყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ. 2010 წ., გვ. 8.
 28 დვალიძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციაზე და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008 წ., გვ. 65.
 29 კიკნაძე დ., ადამიანის მოქმედების საკითხისათვის, თბ. 1971 წ., გვ. 152.

დროს, დანაშაულის ჩადენის მიზანი ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია პირის ფსიქიკური დამოკიდებულებისა, მის მიერ ჩადენილი ქმედების მიმართ, რაც საბოლოოდ ბრალის ფორმირებას განაპირობებს³⁰. მიზანი დანაშაულის კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს, როდესაც იგი მუხლის დისპოზიციაში წარმოდგენილი არ არის ქმედების შემადგენლობის აუცილებელ ნიშნად, ხოლო, როდესაც იგი წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელ ნიშანს, მაშინ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება³¹. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მუხლის დისპოზიციაში პირდაპირ არ არის მითითებული შემადგენლობის სუბიექტური მხარის მიზანზე, სასამართლომ მაინც უნდა შეისწავლოს და გამოიკვლიოს რა მიზანი ჰქონდა დასახული ბრალდებულს³².

ჩვენს მიერ წამოჭრილი პრობლემა მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ გახდეს, მოვიყვანოთ ჰიპოთეტურ მაგალითს. A-მ საქართველოში ააფეთქა რიკოტის გვირაბი, რის შედეგად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს შორის საგრძნობლად შეფერხდა მიმოსვლა. დაკავების შემდეგ, მან აღიარა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, განაცხადა, რომ აფეთქება ჩაიდინა საქართველოს დასუსტების მიზნით და დაეთანხმა მისთვის წარდგენილ ბრალდებას საბოტაჟის კვალიფიკაციით. ასეთ მოცემულობაში, დღის წესრიგში დგება საკითხი – რიკოტის გვირაბის აფეთქებამ გამოიწვია თუ არა რეალურად სახელმწიფოს დასუსტება. თავად გვირაბის აფეთქება შესაძლებელია დადასტურებული იქნეს სათანადო ექსპერტიზებით, რა დროსაც დადგინდება გამოყენებული ასაფეთქებელი ნივთიერების და მოწყობილობის სახეობა, ოდენობა და კონსტრუქცია, აგრეთვე, ექსპერტიზის მიხედვით, დადგინდება ის მატერიალური ზიანი, რომელიც გამოწვეული იქნა აფეთქებით. მაგრამ, ცალკე აღებული ამ გარემოებების დადგენა, მიგვაჩნია, რომ არ იქნება საკმარისი საქართველოს დასუსტებისთვის. თუნდაც იმ საკითხის

გარკვევა, რომ აფეთქებამ დააზიანა გზის მონაკვეთი და გარკვეულწილად შეაფერხა საავტომობილო მიმოსვლა, ვერ იქნება დამაჯერებელი არგუმენტი საქართველოს დასუსტების საპირწონედ. ასეთ შემთხვევაში პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება იმ ზიანის გამოთვლა, რაც ერთობლივად მიაღდა სახელმწიფოს, ორგანიზაციებს, საწარმოებს და მოქალაქეებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოძიების მიერ გაწეული კოლოსალური შრომის შედეგად დადგენილი იქნა მატერიალური ზიანის გარკვეული ოდენობა, რა იქნება მისი საზომი? კანონით ხომ არ არის განსაზღვრული – რა მატერიალური ზიანის გამოწვევას შეუძლია სახელმწიფოს დასუსტება. აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს საბოტაჟის დისპოზიციაში მითითებულ „დიდი რაოდენობით სტრატეგიული ნედლეულის, მასალის ან პროდუქციის“ დაზიანების, მწყობრიდან გამოყვანის ან განადგურების საკითხზე. ვინაიდან დიდი ოდენობის ცნება განმარტებულია მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, კერძოდ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში და ამ თავში დიდ ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10 000 ლარის ზევით³³. მიუხედავად იმისა, რომ ზიანის აღნიშნული ოდენობა კანონმდებელმა მხოლოდ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავს დაუწესა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კანონის ანალოგიით მას საბოტაჟის შეფასებაზეც გავავრცელებთ, არ იქნება დამაჯერებელი მოცემულობა, რადგან 10 000 ლარის ოდენობის ზიანით, ქვეყნის დასუსტების შესაძლებლობა, სასამართლოსთვის სარწმუნო არგუმენტად ვერ ივარგებს.

შედარებითი ანალიზისთვის და პრობლემის გადაჭრის გზების მოძიებაში მნიშვნელოვანი იქნება საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, კერძოდ, საკითხის გარკვევა, თუ რა საკანონმდებლო მოცემულობა არსებობს საბოტაჟთან მიმართებით ამა თუ იმ ქვეყანაში და როგორ არის გადაწყვეტილი ჩვენ მიერ იდენტიფიცირებული პრობლემა.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობა საბოტაჟის განმარტებას არ იცნობს, ამასთან, რიგ დანაშაულებში ვლინდება მასთან დაკავშირებული ელემენტები. აღნიშნული დანაშაულის ჩადენის მიზნად, კანონმდებელმა დაასახელა გერმანიის მთლიანობის, კონსტიტუციური წყობილების და უსაფრ-

30 Дагель П., Котов Д., Субъективная сторона преступления и ее установление, Воронеж, 1974, с. 43.

31 ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სამ. დოქ. აკ. ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბ. 2013წ., გვ. 144.

32 გამყრელიძე ო., „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი“, პირველი წიგნი, მე-2 შევსებული გამოცემა. საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს რედაქცია. თბ., 2008 წ. გვ. 102.

33 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ. 1999 წ., მუხ. 177-ის შენიშვნის პირველი ნაწილი.

თხოვბის ხელყოფა³⁴. ამასთან, კონსტიტუციური საბოტაჟის ობიექტებად გერმანიის კანონმდებლობით გვევლინება საწარმოები და მოწყობილობები, რომლითაც ხდება მოსახლეობის წყლით, ელექტროენერგიით, გათბობით და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ენერგომატარებლებით მომარაგება. მათ შორის, მოიზრება აგრეთვე სატელეკომუნიკაციო მოწყობილობები³⁵. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს დანაშაულის სპეციალურ ნორმას, კერძოდ, თავდაცვის საშუალებების წინააღმდეგ მიმართულ საბოტაჟს³⁶. აღნიშნული დანაშაულის ჩადენის მიზანი არის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უსაფრთხოებისთვის, ძალოვანი უწყებების და მოსახლეობისთვის საფრთხის შექმნა.

აშშ-ის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ცალკე თავს არ უთმობს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, ამასთან, მე-18 კარის, 105-ე თავი მთლიანად ეხება საბოტაჟს. რომლის პირველი მუხლი მთლიანად ეთმობა ხელყოფის ობიექტებს და მათთან დაკავშირებულ ტერმინთა განმარტებებს³⁷, საბოტაჟი შესაძლებელია ჩადენილი იქნეს: საფორტიფიკაციო ნაგებობების, საზღვაო თავდაცვის საშუალებების ან თავდაცვითი საზღვაო საინჟინრო ნაგებობების³⁸, საბრძოლო მასალის, თავდაცვის ობიექტების ან საბრძოლო ტექნიკის³⁹, საბრძოლო მასალის, ტექნიკის და ობიექტების წარმოების⁴⁰, ეროვნული თავდაცვის საშუალებების და ობიექტების⁴¹ და აღნიშნული მასალის, ტექნიკის, ობიექტების და მათი მომსახურების წესების მიმართ⁴². დანაშაულებრივი ქმედება საბოტაჟის შემადგენლობის ამერიკული ვერსია არ ითვალისწინებს სავალდებულო მიზანს.

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, საბოტაჟი განიმარტება, როგორც ნებისმიერი დოკუმენტის, მასალის, კონსტრუქციის, აღჭურვილობის, ინსტალაციის, აპარატის, ტექნიკური მოწყობილობის ან ინფორმაციის დამუშავების ავტომატური სისტემის განადგურება, დაზი-

ანება ან მითვისება, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ფრანგი ერის კანონიერი ინტერესების საფუძვლებს. ქმედების დამამძიმებელი გარემოებას წარმოადგენს მისი ჩადენა უცხო ქვეყნების სასარგებლოდ ან მათი დავალებით⁴³.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ისეთ დანაშაულებრივ ქმედებებს, როგორც არის ორგანიზაციის შექმნა ტერორისტული აქტის ან საბოტაჟის ჩადენის მიზნით⁴⁴ და თავდასხმა ტერორისტული აქტის ან საბოტაჟის ჩადენის მიზნით⁴⁵. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენის მიზნად მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებს ტერორიზმის ჩადენის და დემოკრატიული წყობილების დამხობის მიზანს.

როგორც საზღვარგარეთის მაგალითებიდან ჩანს, საბოტაჟის შემადგენლობას კანონმდებელმა ან არ დაუწესა რაიმე სახის სპეციალური მიზანი, ან ეს მიზანი სავსებით ნათელი და განმარტებულია ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობაში, რაც დიამეტრულად განსხვავდება ქართული კანონმდებლობისგან.

ამ მხრივ საინტერესო იქნებოდა დანაშაულის სტატისტიკის და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და გაანალიზება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, ცალკე აღებული, სსკ-ის 318-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის აღრიცხვიანობას არ აწარმოებს⁴⁶. ამასთან, საჯარო სივრცეში გავრცელებული ინფორმაციის⁴⁷ და ინტერვიუს

34 Strafgesetzbuch (StGB), § 87 Agententätigkeit zu Sabotagezwecken, 15.05.1871.

35 იხ. იქვე, § 88 Verfassungsfeindliche Sabotage.

36 იხ. იქვე, § 109e Sabotagehandlungen an Verteidigungsmitteln.

37 The United States Code, Title 18, Chapter 105 – Sabotage, section 2151, 1948.

38 იხ. იქვე, section 2152.

39 იხ. იქვე, section 2153.

40 იხ. იქვე, section 2154.

41 იხ. იქვე, section 2155.

42 იხ. იქვე, section 2156.

43 Code pénal: Section 4: Du sabotage (Article 411-9), 1992.

44 Codice penale (Italia), Dei delitti contro la personalità dello Stato, Art. 270-bis. Associazioni con finalità di terrorismo anche internazionale o di eversione dell'ordine democratico.

45 იხ. იქვე, Art. 280. Attentato per finalità terroristiche o di eversione.

46 საქართველოს შსს ადმინისტრაციის უფროსის, 15.02.23 წლის #MIA02300437945 და 20.02.23 წლის #MIA02300490025 წერილებით გაიკვია, რომ საბოტაჟის სტატისტიკა იწარმოება „დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ (მ. 308-322-2)“ გრაფაში, რაც არ იძლევა სსკ-ის 318-ე მუხლით დაწყებული საქმეების რაოდენობის იდენტიფიცირებას.

47 საბოტაჟის გამოძიება ყოველთვის რეზონანსული პროცესი არის და მის მიმართ მუდმივად არსებობს მძაფრი საზოგადოებრივი ინტერესი, რის გამოც საქმის მწარმოებელი უწყებები ხშირად აქვეყნებენ გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას, მაგ. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ინფორმაცია საბოტაჟის ფაქტზე გამოძიების დაწყე-

მეთოდით⁴⁸ მიღებული მონაცემების ანალიზი იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ, 2013-2023 წლებში, საბოტაჟით დაწყებული საქმეების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ათ ერთეულ სისხლის სამართლის საქმეს. ჩვენს მიერ სტატისტიკისთვის შერჩეული 2013-2023 წლის პერიოდი, აღებული იქნა რამდენიმე მიზეზით: 1. ბოლო ათი წელი, რომელიც უდავოდ საინტერესო იქნება კვლევის მიზნებისთვის და 2. საქართველოში 2013 წლიდან დაიწყო სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პროცესი⁴⁹. აღნიშნულ პერიოდში, „საქართველოს სსკ-ის 318-ე მუხლზე სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთი პირის მიმართ არ დაწყებულა“⁵⁰ და შესაბამისად არც სასამართლოებს უმსჯელიათ აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის საქმეზე⁵¹. თუნდაც ის ფაქტი, რომ ბოლო ათი წლის განმავლობაში, საბოტაჟის ბრალდებით, საქართველოში სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა და შესაბამისად, არც სასამართლო განხილვა შემდგარა, გარკვეულწილად, შესაძლებელია იყოს ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული პრობლემის ერთგვარი გამოვლენა პრაქტიკაში.

დასკვნა

დასკვნისთვის უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსკ-ის 318-ე მუხლი საჭიროებს საკანონმდებლო ჩარევას. იმისთვის, რომ აღმოიფხვრას მუხლში არსებული ბუნდოვანება, ჩვენ მიერ შემოთავაზებული იქნება ორი გზა: 1. მუხლს დაემატება შენიშვნა, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი, თუ რა იგულისხმება საქართველოს დასუსტებაში და 2. უფრო მისაღები იქნება, თუ მუხლის დისპოზიციის მიხედვით „საქართველოს დასუსტების მიზანი“, შეიცვლება „საქართველოს უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარების და მოსახლეობის მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის საფრთხის შექმნის მიზნით“. საკანონმდებლო ცვლილებით აღმოიფხვრება საბოტაჟის დისპოზიციის მიხედვით არსებული ბუნდოვანება, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული სახის დანაშაულებზე ეფექტური გამოძიების ჩატარების, სისხლისსამართლებრივი დევნის და მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

ბის შესახებ, ელ. მის: <https://ssg.gov.ge/news/592/saxelmtsifo-usaftrxoebis-samsaxuris-gancxadeba> [ბოლო ნახვა 27.04.2023].

- 48 ზეპირი ინტერვიუს პირობებში გამოიკითხა საბოტაჟის საქმეებზე მომუშავე ათამდე გამომძიებელი და პროკურორი, რესპონდენტებთან კითხვები შეეხებოდა სსკ-ის 318-ე მუხლით გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების რაოდენობას.
- 49 თოდუა ნ., სტატია – „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“, თსუ მეცნიერება, ელექტრონული მისამართი <https://old.tsu.ge/science/?leng=ge&lc=journal&jnomeri=7&tid=11> [ბოლო ნახვა 27.04.2023].
- 50 საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის, 2023 წლის 24 თებერვლის, #13/12633 წერილის თანახმად, „სსკ-ის 318-ე მუხლზე სისხლისსამართლებრივი დევნა არც ერთი პირის მიმართ არ დაწყებულა“.
- 51 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების სტატისტიკის სექტორის უფროსის, 2023 წლის 27 თებერვლის, #პ-129-23 წერილის თანახმად, „2013-2022 წლებში, სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლით (საბოტაჟი) არც ერთი საქმე არ განხილულა“.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. ბრაჭველი ს., გოგელია თ., გელაშვილი თ., მელაძე გ., სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლები, თბ. 2021წ.
2. გამყრელიძე ო., „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი“, პირველი წიგნი, მეორე შეესებული გამოცემა, თბ., 2008 წ.
3. გოგიჩაიშვილი თ., ზოგადი ფსიქოლოგიის კურსი, თბ. 2006 წ., გვ. 19.
4. ღვალიძე ი., თუმანიშვილი გ., გვენეტაძე ნ., „კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში“, თბ., 2015 წ.
5. ღვალიძე ი., „მოტივი და მიზანი საქართველოს სისხლისსამართლებრივ დოქტრინაში“ ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007–2–3.
6. ღვალიძე ი., მოტივისა დამიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციაზე და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბ., 2008 წ.
7. თოდუა ნ., სტატია – „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“, თსუ მეცნიერება, ელექტრონული მისამართი <https://old.tsu.ge/science/?leng=ge&lc-cat=jurnal&jnomeri=7&tid=11> [Last Access 02.06.23].
8. კიკნაძე დ., ადამიანის მოქმედების საკითხისათვის, თბ. 1971 წ.
9. ლეკვიშვილი მ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბ. 2006 წ.
10. მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., „კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში“, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2010 წ.
11. ნაჭყებია გ., „სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება“ თბ., 2002 წ.
12. ნაჭყებია გ., ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ. 2010 წ.
13. ტყეშელიაძე გ., ღირებულების პრობლემა და სამართალი, „საბჭოთა სამართალი“ 1981 წ.
14. ქებურია დ., ცნების თეორიის საკითხები, თბ. 1967 წ.
15. წერეთელი თ., ტყეშელიაძე გ., მოძღვრება დანაშაულზე, თბ. 1969 წ.
16. წერეთელი ს., დიალექტიკური ლოგიკა, თბ. 1965 წ.
17. წულაია ზ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტ. #1, მე-2 გამოცემა, თბ. 2003 წ.
18. ხარანაული ლ., დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართულ და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი), სამ. დოქ. აკ. ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია, თბ. 2013 წ.
19. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ. 2004 წ.
20. Hart H.L.A., Punishment and Responsibility: Essays in the Philosophy of Law (2nd edn), Oxford University Press, 2008.
21. Дагель П., Котов Д., Субъективная сторона преступления и ее установление, Воронеж, 1974.
22. Кудрявцев В., Общая теория квалификации преступлений, М. 1972.
23. Жеребкин В., Содержание понятий права: (Логико-юрид. анализ): Автореф. дис. на соиск. учен. степ. д-ра юрид. наук: (12.00.01), Харьков, 1980.

საკანონმდებლო აქტები:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ. 1999 წ.
2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი, 1960 წ.
3. Strafgesetzbuch (StGB), 15.05.1871.
4. The United States Code, 1948.
5. Code pénal, 1992.
6. Codice penale (Italia), 1930.
7. European Court of Human Rights, Case of Rohlena v. the Czech Republic, 27/01/2015, 59552/08.

ელექტრონული რესურსები:

1. უცხო სრტყვათა ლექსრკონრ, ელ. მრს: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=3&t=35631> [Last Access 02.06.23].
2. რწფორმაცრა საბოტაჟრს ფაქტზე გამოძრბრს დაწყებრს შესახებ, ელ. მრს: <https://ssg.gov.ge/news/592/saxelmtsifo-usafrtxoebis-samsaxuris-gancxadeba> [Last Access 02.06.23].

*კვლევა (გრანტრს #PHDF-22-541) განხორცრელდა შოთა რუსთაველრს
საქართველოს ეროვნული სამეცნრერო ფონდრს მხარდაჭერრთ*